# ბორჯომი

1 სექტემბერი
ხუთშაბათი
2022 წელი
№35 (9245)
ფასი 40 თეთრი

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი გამოდის 1931 წლის 20 ივლისიდან


## კოორდინირებული მოქმედებით ხანძარი ლოკალიზებულია

### ანტონ ობოლაშვილი - საქართველოს პარლამენტის წევრი



**ბორჯომის** მუნიციპალიტეტის მერთან **ოთარ არბოლიშვილთან** და საკრებულოს თავმჯდომარესთან **დავით ზაალიშვილთან** ერთად მოვინახულე ხანძრის შედეგად დაზიანებული ტერიტორიები.

ხანძრის სალოკალიზაციო-სალიკვიდაციო სამუშაოებში საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მეხანძრე-მაშველებთან ერთად აქტიურად, კოორდინირებულად მონაწილეობენ შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვადასხვა დეპარტამენტის, თავდაცვის სამინისტროს, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, ასევე, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლები.

ხანძრის ლიკვიდაციაში ჩართულია ყველა ტიპის ხანძარსაწინააღმდეგო ტექნიკა, სასაზღვრო პოლიციის 4 ვერტმფრენი და თურქეთის რესპუბლიკის 3 სპეციალიზებული სახანძრო თვითმფრინავი.

სწორედ კოორდინირებული მუშაობის შედეგად მოხდა ხანძრის დროული ლოკალიზება და აქტიური კერების ლიკვიდირება.

მინდა თითოეული სამსახურის ყველა თანამშრომელს, რომელიც ჩართულია ხანძრის ქრობის პროცესში და დაუღალავად იბრძვის სტიქიის წინააღმდეგ, გულითადი მადლობა გადავუხადო გაწეული შრომისთვის.

თითოეული მოქალაქის ვალია გაუფრთხილდეს ბუნებას, ხოლო ჩვენ ყველამ ერთად, დროულად უნდა მივიღოთ ზომები დამწვარი ტყის აღსადგენად.

## წყალმომარაგების სისტემას რეაბილიტაცია ჩაუტარდა



**ბორჯომის** მუნიციპალიტეტის სოფელ საკირეში წყალმომარაგების სისტემას რეაბილიტაცია ჩაუტარდა.

პროექტის ფარგლებში, აღდგა სათავე-ნაგებობა, მოეწყო ახალი 300 კბმ-ს ტევადობის რეზერვუარი, შეიცვალა მაგისტრალზე დაზიანებული მონაკვეთები და შიდა ქსელი.

სოფელ საკირეში 400-მდე ოჯახს აქამდე წყალი გრაფიკით მიეწოდებოდა. რეაბილიტირებული წყალმომარაგების სისტემა კი სოფლის მაცხოვრებლებს წყლის მიწოდების პრობლემას სრულად მოუგვარებს.

პროექტის საერთო ღირებულება 552 845 ლარია.

დასრულებული სამუშაოები ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერმა **ოთარ არბოლიშვილმა,** მისმა მოადგილემ **გიორგი ტაბატაძემ** და სოფელ საკირეში მერის წარმომადგენელმა **ბესო ხალაძემ** დაათვალიერეს.

## უქევენ ხანძრის დარჩენილ კერებს

**ბორჯომის** ხეობაში გაჩენილი ხანძრის ქრობის პროცესი დასკვნით ეტაპზე გადავიდა. ამ დროისთვის მუშავდება ცეცხლის დარჩენილი რამდენიმე მცირე მასშტაბის აქტიური და მხრჩოლავი კერა. გაყვანილია გზები მძიმე ტექნიკის დახმარებით და გრძელდება დარჩენილ კერებთან გზების მიყვანის პროცესი.

დილიდან სალოკალიზაციო სალიკვიდაციო სამუშაოებში აქტიურად მონაწილეობს ავიაცია.

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ, **იოსებ ჭელიძემ,** რომელიც ბორჯომის მუნიციპალიტეტში ხანძრის ოპერატიული მართვის შტაბს ხელმძღვანელობს, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსთან, **თემურ მღებრიშვილთან** ერთად სამუშაო თათბირი გამართა.

მინისტრის მოადგილემ და საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსმა ხანძრის გავრცელების არეალზე მიმდინარე სალოკალიზაციო-სალიკვიდაციო სამუშაოები შეაჯამეს და ადგილზე არსებული ვითარება შეაფასეს.

ბოლო მონაცემებით, ბორჯომის მუნიციპალიტეტში, ხანძრის გავრცელების სამივე სექტორზე ლიკვიდირებულია ცეცხლის კერების 90%, ხოლო დანარჩენ 10%-ზე მიმდინარეობს ხანძრის ქრობის აქტიური სამუშაოები. ამასთანავე, გრძელდება სექტორების მონიტორინგი.

ბორჯომის მუნიციპალიტეტში ხანძრის სალოკალიზაციო-სალიკვიდაციო სამუშაოები მთელი ღამის განმავლობაში უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობდა. ხანძრის ქრობის პროცესში მეხანძრე-მაშველებთან ერთად აქტიურად მონაწილეობენ შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვადასხვა დეპარტამენტის, თავდაცვის სამინისტროს, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, ასევე გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაბამისი სამსახურების თანამშრომლები. დილიდან მუშაობა განაახლეს სასაზღვრო პოლიციის ვერტმფრენებმა.



ასევე დილიდან ხანძრის ქრობის პროცესში ჩაერთვება რკინიგზის დეპარტამენტის სახანძრო მატარებელი.

მაღალი ტემპერატურისა და ქარის გამო ადგილზე ისევ ფიქსირდება სხვადასხვა სირთულის კერები. მძიმე ტექნიკისა და ტრაქტორების მეშვეობით თითქმის ყველა კერამდე მისასვლელი გზა უკვე გაყვანილია.

მობილიზებულია ყველა შესაბამისი სახანძრო-სამაშველო ავტოტექნიკა. დრონებით გრძელდება სანძრის მონიტორინგი.

როგორც გარემოს დაცვის სპეციალისტები ვარაუდობენ 30 აგვისტოსათვის ცეცხლის კერები ლიკვიდირებული იქნება.

როგორც გარემოს დაცვის სპეციალისტები ვარაუდობენ, 31 აგვისტოსათვის ცეცხლის კერები ლიკვიდირებული იქნება.

### სიახლეები საჯარო სკოლებში

## სასწავლო პროცესი 15 სექტემბრიდან განახლდება

**„ზოგადი** განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილება შედის, რომლის მიხედვით, 2022-2023 სასწავლო წელს პირველ კლასში შესვლის უფლება ექნებათ 5 წლის ბავშვებს, კონკრეტულად კი მათ, რომლებსაც 6 წელი პირველ ოქტომბრამდე შეუსრულდებათ.

ასევე 2022-2023 სასწავლო წელს მოსწავლეები ჭადრაკს პირველ კლასში სავალდებულო საგნად შეისწავლიან.

ასევე ამოქმედდება სიახლე, რომელიც X კლასის მოსწავლეებს ეხება და ისინი „საქართველოს ისტორიას“ ცალკე საგნად ისწავლიან. ექნებათ ახალი სახელმძღვანელოც.

ასევე, ეტაპობრივად სკოლებში ექიმის საათის დანერგვა იწყება და დაწყებითი საფეხურის მოსწავლეები თავდაცვისა და უსაფრთხოების შესახებ საჭირო ინფორმაციას მიიღებენ. სამედიცინო თვალსაზრისით, ბავშვებთან ურთიერთობის გარდა, სკოლის ექიმს საგანმანათლებლო საკითხების განხილვაც დაევალება.

საგანმანათლებლო თემებში შედის ისეთი საკითხები, როგორებიცაა: ჰიგიენა, კვება, ფიზიკური აქტივობა, გენდერული სტერეოტიპები, თანასწორობა, უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხები, როგორებიცაა, უცხო ადამიანებთან ურთიერთობა, დაკარგვის შემთხვევაში ქცევის წესები, როგორ ამოიცნოს ემოციები და თავისი სახელი დაარქვას, რას ჰქვია საფრთხის შემცველი შეხება და ასე შემდეგ.

2023 წლიდან ექიმის საათი ყველა სკოლაში სავალდებულო იქნება.

## სამედიცინო ცენტრს ახალი ხელმძღვანელი ჰყავს



**„ჯეო ჰოსპიტალსის“** ბორჯომის მრავალპროფილურ სამედიცინო ცენტრს ახალი ხელმძღვანელი ჰყავს. აღნიშნულ თანამდებობაზე **ირაკლი დიასამიძე დავით ბარაბაძემ** ჩაანაცვლა. ბარაბაძე პროფესიით ექიმი ნევროლოგია.

ყოფილი დირექტორი **ირაკლი დიასამიძე** „ჯეოჰოსპიტალსის“ ბორჯომის სამედიცინო ცენტრში ადმინისტრაციული ხელმძღვანელის პოზიციაზე რჩება. თუმცა სამომავლოდ სხვა მიმართულებით მუშაობის გაგრძელებას არ გამორიცხავს.

### ვინ აღკვეთავს გარე ვაჭრობას

## ადამიანთა და ცხოველთა უსაფრთხოებისათვის

**ბორჯომის მუნიციპალიტეტში 7500 მსხვილფეხა საქონელია, მათი რაოდენობა წინა წელთან შედარებით 30%-ით შემცირებულია. სურსათის ეროვნული სააგენტოს სამცხე-ჯავახეთის რეგიონალური სამმართველოს უფროსი ინსპექტორი კობა ხაჩიძე მიზეზად ფერმერული მეურნეობის განვითარების, საძოვრებისა და ტრანსპორტირების პრობლემურ საკითხებს, მესაქონლეობიდან შემოსავალის სიმცირეს ასახელებს.**

**როგორც რესპონდენტი აღნიშნავს, საძოვრების პრობლემა არ დგას ბაკურიანის, ციხისჯვარის, მიტარბის, ტაბაწყურის, ჭიხარულას, ბალანთის, მოლითის ადგილობრივი მოსახლეობის წინაშე, ამასთან საკირის მხარესაც აქვთ საზაფხულო საძოვრები, ხოლო ყვიბისს, ახალდაბას, დაბას, წაღვერს, დვირს მუდმივად აქვთ საძოვრებთან დაკავშირებული პრობლემები. მაგალითად, ამ დროისთვის დვირელების პირუტყვი უკვე საძოვრის გარეშეა.**

– ჩვენთან ყველა პირუტყვი იდენტიფიცირებული და რეგისტრირებულია. ამჟამად გვყავს 10 ვეტერინარი, რომლებიც უბნების მიხედვით არიან განაწილებული. ერთადერთი ახალდაბასა და ყვიბისში არ გვყავს ვეტერინარი, ამიტომ ამ სოფლებში ერთობლივად გვიწევს რიგი ღონისძიებების გატარება.

სახელმწიფო პროგრამითაა გათვალისწინებული ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვა, მათ იდენტიფიკაციას უფასოდ ვთავაზობთ მოსახლეობას. განსაკუთრებით ცხოველთათვის საშიშია თურქული, ჯილეხი (ციმბირული წყლული), ცოფი, ბრუცელოზი და რიგი დაავადებები, წვრილფეხას ჭირი, დაავადებები კი სახელმწიფო კონტროლის ქვეშ არის. რომლის შემთხვევები წელს საერთოდ არ გამოვლენილა.

თურქული არის დაავადება, რომელიც ვრცელდება მარტივად და სწრაფად. დაახლოებით უკვე 10 წელია, არც ამ დაავადების შემთხვევები დაფიქსირებულა. იგივე შემიძლია ვთქვა ჯილეხზე, გარდა იმ ფაქტისა, როდესაც ეს დაავადება მიგრირებულ საქონელთან აღმოჩნდა გუჯარეთის ხეობაში, მაშინ გამოვლინდა ადამიანთა დაავადების ფაქტებიც.

დავინტერესდი, რა ხდება ჩვენს რაიონში სასაკლაოებთან დაკავშირებით და რესპონდენტმა გვიპასუხა, რომ ბორჯომის მუნიციპალიტეტს არ გააჩნია სასაკლაო, მხოლოდ რველში იყო, თუმცა ცოტა ხნით ფუნქციონირებდა და მალევე შეწყვიტა მუშაობა.

რაც შეეხება მიგრირებულ ცხოველებს, რომლებიც კახეთიდან შემოდის 120 ათას სულამდე წვრილფეხა პირუტყვი (ცხვარი), ხოლო 17 ათასი სული მსხვილფეხა. შესაბამისი სამსახური საჭირო ღონისძიებებს



ადგილზე ატარებს.

მოსახლეობამ უნდა გაითვალისწინოს, რომ არის ცხოველთა რიგი დაავადებები, რომლებიც სახელმწიფო პროგრამაში არ შედის, თუმცა ჩვენ მაქსიმალურად უზრუნველვყოფთ მათ დახმარებას, ზოგ შემთხვევაში ისინი სარგებლობენ კერძო ვეტერინარული მომსახურებითაც. სამწუხაროდ, ბოლო პერიოდში ყირიმ-კონგოს შემთხვევა გვქონდა საკირეში, რომლითაც ადამიანი გარდაიცვალა.

აღსანიშნავია, რომ ყოველ წელიწადს მიმდინარეობს ცხოველების დამუშავება ტკიპის საწინააღმდეგო ხსნარებით. ჩვენი ვეტერინარები ტერიტორიებსაც ამუშავებენ და ზრუნავენ ცხოველთა და ადამიანთა უსაფრთხოებისთვის.

**დასასრულს უნდა აღინიშნოს, რომ რძის პროდუქტები, რომელიც უკონტროლოდ იყიდება ქუჩებში, ყოველგვარი პირობების გარეშე საფრთხეს უქმნის ადამიანის ჯანმრთელობას, რომლის კონტროლი და უკანონო ქმედების აღკვეთა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მოსახლეობისათვის.**

გასულ კვირას თანამშრომელი ამბობდა, თუ როგორი შემზარავი დასანახია, ზაფხულის პაპანაქება სიცხეში, როდესაც ყველი იყიდება ქუჩაში და ზედ ახვევია ბუზი. (ამ თემაზე ჩვენს გაზეთში არაერთი წერილი დაიბეჭდა, მაგრამ გარე ვაჭრობის აღკვეთას საშველი არ დაადგა).

უკანონო ვაჭრობის აღკვეთის მოვალეობა პოლიციის, ხელისუფლების და პირველ რიგში მოქალაქეთა პასუხისმგებლობაა. ამ უკონტროლო ქმედების აღკვეთა სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ შეუძლებელია, რადგან მოვაჭრეები, რომლებიც პროდუქტს ყიდიან, არ არიან რეგისტრირებულები და არ გადიან არავითარ შემოწმებას და ამასთან დაუცველია სარეალიზაციო პროდუქციის შენახვის პირობებიც.

**იზა იანვარაშვილი**

პოლემიკა

# ევროპა ჩვენთვის „შინ“ არასოდეს ყოფილა!

**გაზეთ** „ბორჯომის“ ერთ-ერთ წინა ნომერში დაიბეჭდა წერილი სათაურით **„შინ-ევროპისაკენ!“.** წერილი იწყებოდა ისე, თითქოს უნდა განხილულიყო სარედაქციო ფოსტა, - ჩვენი გაზეთის მკითხველების რედაქციისადმი გამოგზავნილი წერილები. უცებ ავტორს მოჰყავს უფრო ადრეულ გაზეთ „ბორჯომში“ გამოქვეყნებული ჩემი ერთ-ერთი წერილის ბოლო, შემაჯამებელი აბზაცი: **„ჩრდილოეთის „დათვს“ ვეფეროთ და დროთა განმავლობაში იქნებ აფხაზეთი და სამაჩაბლოც დავიბრუნოთ“.** ჩემი გვარ-სახელი არ მიუთითია, ამიტომაც არც მე ვუთითებ მის გვარ-სახელს. ვიტყვი მხოლოდ, რომ იგი ჩემი ახალგაზრდა კოლეგა-ჟურნალისტია, ამავე დროს რაიონში საკმაოდ წარმატებული პედაგოგიც.

იგი თითქოს მოწიწებას და პატივისცემას გამოხატავს ჩემს მიმართ და ამბობს, რომ „უაღრესად ავტორიტეტული ავტორია“, მაგრამ ჩემი წერილის კრიტიკის დროს თავზე დამამხო ყველაფერი: ეს წერილი **„ტენდენციურად დანახული აზრებითა და ფაქტებითაა გაჯერებული“** და **„ბრმა იდეოლოგიით შეპყრობილებს“** შორისაც მიმიჩინა ადგილი (იქნებ თვითონაა ასეთი?). ასე, რომ ჩემდამი საქებარ სიტყვებში პატარა ცინიზმს ვხედავ.

ჩემი წერილის ბოლო აბზაცი ჩემმა ოპონენტმა (როგორც ჩანს, შეგნებულად) არასრულად მოიყვანა. მე ვწერდი: „იქნებ ჯობს: ზოგიერთი პარტიის წამოწეულ ლოზუნგს - „ნეიტრალიტეტს“ მივაქციოთ ყურადღება...“ და შემდეგ მოდის მის მიერ ზემოთ მოტანილი ციტატა. იგი მისვამს კითხვას: „რატომ გგონიათ, რომ ჩრდილოელს უნდა ვეფეროთ?“ მე „ფერებაში“ და „მოფერებაში“ ვგულისხმობ ძლიერი სახელმწიფოსადმი პატივისცემას, მასთან დიალოგის დაწყებას, დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენას და ნორმალურ დამოკიდებულებას ჩრდილოელთან და არა ქსენოფობიას და სიძულვილის ენით ლაპარაკს. **აბა, ის იყო ნორმალური და კარგი,** გაბუნიამ ტელევიზიით დედა რომ აგინა პუტინს, ან ოქრუაშვილმა რომ თქვა: „რუსეთში ფეკალიებიც იყიდებაო“? **მოსკოვში მცხოვრები ცნობილი ქართველები შეეხვეწნენ პუტინს გაბუნიას გინების დროს და დაამშვიდეს, თორემ რამდენიმე რაკეტის გამოფრენას თბილისისაკენ და დაბომბვას არაფერი აკლდა!** სამაგიეროდ მავთულხლართები გადმოწიეს ცხინვალელმა ოსებმა და ოკუპანტებმა და ამ დამცირებას კიდევ აგრძელებენ. საერთოდ, მსოფლიო პოლიტიკაში და დიპლომატიაში მიღებულია თავისებური მოფერება, მოკრძალება და პატივისცემა სახელმწიფოთა მეთაურებს შორის, მით უმეტეს, სუსტებისგან ძლიერებისადმი. რა არის ამაში გასაკვირი ან დასაგმობი?

ჩემი ოპონენტი ლტოლვილია **და, სამწუხაროდ, აღარ სჯერა, რომ როდესმე აფხაზეთს და ცხინვალის რეგიონს დავიბრუნებთ. საიდან - ასეთი გულგატეხილობა? ჩემი აზრით, რუსეთისადმი უსაზღვრო სიძულვილმა ოპტიმისტური მომავალი გაუფერმკრთალა.** არადა, ჩემი ღრმა რწმენით, აფხაზეთის და სამაჩაბლოს დაბრუნების გასაღები რუსეთის ხელშია, თუ მასთან კეთილმეზობლურ ურთიერთობას დავამყარებთ.

თურმე რუსეთისათვის მე შემირქმევია სახელი „დათვი“ (!) მთელი მსოფლიო „დათვს“ ეძახის მას და რუსებს ეს არც სწყინთ. 1980 წელს იგი დაბადებული ალბათ არ იყო, მაგრამ დოკუმენტურ ფილმებში მაინც არ უნახავს მოსკოვში ჩატარებული ოლიმპიადის გახსნისას დათვით გამოსახული პლაკატი რომ ჰაერბურთებით გაუშვეს ცაში?

ჩემი ოპონენტის აზრით, **„ჩვენ ძველი ევროპელები ვართ“, „ჩვენ იქ უკვე ვიყავით(!)“.** „ეს არ შეიძლება არ იცოდეს პროფესიით ფილოლოგმა, ვისაც ერთხელ მაინც ჰქონია შეხება რისმაგ გორდეზიანის ლექციებთან?“ ხმამაღლა ვაცხადებ: **სამი წელი მიკითხავდა ბატონი რისმაგ გორდეზიანი (ამჟამად აკადემიკოსია) ანტიკურ ლიტერატურას, მაგრამ ერთხელაც არ უთქვამს ჩვენთვის (სტუდენტებისთვის), რომ ევროპა ჩვენი „შინ“ არის!** პირიქით, იგი ეყრდნობოდა ქართველ ისტორიკოსთა გამოკვლევებს, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ჩვენი წინაპრები იყვნენ შუმერები, ხეთები, ქალდეველები, რომლებიც **ცხოვრობდნენ შუამდინარეთში,** ახლანდელი ერაყის ტერიტორიაზე, **ესე იგი აზიაში!** ბატონი რისმაგი იმ **ჰიპოთეზებზეც** გვესაუბრებოდა, რომ, შუმერების და ხეთების ერთი ნაწილი აყრილა და ხმელთაშუა ზღვის პირას უცხოვრიათ, დღევანდელი იტალიის და საბერძნეთის ადგილზე, ამასვე ამბობს ზვიად გამსახურდია თავის წიგნში „საქართველოს მისია“. ზოგი პირინეის მთებშიც გადასულა (ბასკები), ზოგიც ირლანდიის ტერიტორიაზე, **მაგრამ განა ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ ევროპელები ვართ?**

პატივცემული ელგუჯა ხინთიბიძე წერს: **„ტომით ქართველებმა დიდი როლი შეასრულეს ევროპის ისტორიაში“,** ეს ყველაფერი გაზვიადებული და გაბუქებულია. ამ წინადადებაზე ევროპელები სიცილს დაიწყებენ!. „ახლაც კი ნახევარმა ევროპამ არ იცის, სად მდებარეობს საქართველო და ვინ არიან ქართველები! - ეს აზრი ტელევიზიით გამოსვლისას მე მოვუსმინე ბატონ დავით თარხან-მოურავს. ბატონ ელგუჯას ისიც უნდა მოეხსენებოდეს, რომ **პეტრე იბერი სირიაში მოღვაწეობდა და, ასე ვთქვათ, აზიური ცივილიზაციის პირმშოა და არა ევროპულისა. ქრისტიანობაც და ბუდიზმიც აზიაში წარმოიშვა და არა ევროპაში!** ევროპული კულტურა და ცივილიზაციაც არსებობდა და არსებობს, მაგრამ რა ვუყოთ ინდურ, ჩინურ, სპარსულ, არაბულ და იაპონურ ცივილიზაციებს, რომლებიც რამდენიმე ათასწლეულებით ადრე წარმოიშვნენ, ვიდრე ევროპული? **საერთოდ, ჩვენი ვაიპოლიტიკოსები სულ ევროპულ ღირებულებებზე რომ საუბრობენ, აზიას არაფერი აქვს მოსაწონი, კარგი და დასაფასებელი? რატომ აყენებენ შეურაცხოფას აზიურ სახელმწიფოებს?**

ექვთიმე ათონელმა „ბალავარიანი“ თარგმნაო. მერე ეს ფაქტი ისევ აზიის სასარგებლოდ არ მეტყველებს? აზიაში შეიქმნა და მერე თარგმნეს ევროპისთვის!

ჩემს კოლეგას მოჰყავს „ნიჭიერი და ყველასთვის საყვარელი(?) ჟურნალისტის **გიორგი შარაშიას** დაწერილი უსუსური ფაქტები: „ჩემი ქვეყნის ევროპულობა იქ დიწყო, როდესაც შუშანიკმა საკუთარი უფლებების დაცვა საჯაროდ გადაწყვიტა“. მინდა შევახსენო მას, რომ **შუშანიკი „საკუთარ უფლებებს“ კი არა, ქრისტიანობას იცავდა!** ევროპელები ვიყავით მაშინაც, როცა თამარმა იური რუსზე უარი თქვა“. მაშინ აზიელები ვიყავით, **(დიდი მეფის წინაშე ბოდიშს ვიხდი)** როდესაც თამარი იური რუსს დაუწვა? „ევროპისკენ ცხრა თვე იარა სულხან-საბა ორბელიანმა“. ეს ფაქტი მაინც არ მოეყვანა „ამ ნიჭიერ და ყველასათვის საყვარელ(?) ჟურნალისტს ჩვენი ევროპელობის მაგალითად! **განა ევროპამ არ დასცინა მაშინ საქართველოს, არაფერში რომ არ დაეხმარა?** ნუთუ ან მას, ან ჩემს კოლეგას მუხრან მაჭავარიანის ლექსი მაინც არ გაახსენდათ, როცა სულხან-საბა **ლუდოვიკო XIV-ს ესაუბრებოდა ქართლის გასაჭირზე, მეფე კი კატას ეფერებოდა?** სხვა მაგალითების გარჩევას აღარ მოვყვები, ისეთი სულელური, პირწმინდად პროპაგანდისტული ფაქტებია მოყვანილი. კანტი-კუნტად რომ ჩადიოდნენ ქართველები ევროპაში, ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ ევროპელები ვართ? შეიძლება ჩინელებიც, ინდოელებიც, ან აფრიკელებიც ჩავიდნენ ევროპაში და იქ მოღვაწეობდნენ, **მათი მოსახლეობაც ევროპულია?**

გეოგრაფია ხომ უსწავლია ჩემს ოპონენტს, **რომ ურალს აქეთ რუსეთიც ევროპაა? რომ ევროპა-აზიის საზღვარი კავკასიონზე გადის და საქართველოც და თურქეთიც აზიის სახელმწიფოებია?**

**მაინც საიდან გაჩნდა სწრაფვა ევროპისაკენ?** მაყვალა ბერიანიძის სკანდალურ წერილებში ხომ ამოვიკითხეთ („ასავალ-დასავალში“), რომ „შინ“ წასული ედუარდ შევარდნაძე ნანობს: ჩემი საფიქრალი ის არის, რომ საქართველოს არაქართველები მართავენო. 2004 წელს ერთ-ერთმა ნახევრად ქართველმა, მაშინდელმა პარლამენტის თავმჯდომარემ **ზურაბ ჟვანიამ ევროპის პარლამენტის სხდომაზე „დაახეთქა“: „მე ვარ ქართველი, მაშასადამე, ვარ ევროპელი!“** აი, პირფერული („მოფერებითი, მაამებლური“) მხოლოდ პოლიტიკური მიზნით ნათქვამი ფრაზა ევროპარლამენტარების წინაშე, რათა საქართველოსთვის მეტი ყურადღება მიექცია ევროპას. სააკაშვილი და მისი გუნდი ამერიკამ მოიყვანა საქართველოს ხელისუფლების სათავეში და **მიზნად დაუსახა რუსეთისგან „მტრის ხატის“ შექმნა.** იგივე მიზანი დაუსახეს არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებიც ახლაც მსუყედ ფინანსდებიან ამერიკისგან და სოროსისგან. ახალგაზრდობაში ამას მიაღწიეს კიდეც. სააკაშვილის დროს ეს არასამთავრობოები ხმას არ იღებდნენ, მიუხედავად იმისა, რომ ხედავდნენ, რა დესპოტურად და დიქტატორულად მართავდა ქვეყანას მაშინდელი პრეზიდენტი, **2012 წლიდან კი ბიძინა ივანიშვილს და მის მთავრობას სისხლს უშრობენ** ნაცებთან, ზოგიერთ სხვა წვრილმან პარტიებთან და ნაცების დაქირავებულ ტელევიზიებთან ერთად. რუსთაველზე მიტინგობანას ხომ ბოლო არ უჩანს. რა ხერხს აღარ მიმართავენ, რომ დაამხონ ღარიბაშვილის მთავრობა. რუსოფობიამ პიკს მიაღწია. ივნისის **29-2 ივლისის პერმანენტულ მიტინგებზე გამოიგონეს სულელური დევიზი: „შინ-ევროპისაკენ!“** ეს გამოიგონეს ნაცებმა, მაქარაშვილის „სირცხვილიამ“ და სხვა ენჯეოებმა, რომლებიც საქართველოს „ტენიან“ ლგბტ მოძრაობის აღლუმების ჩატარებას (რამდენიმე წელია) და ახლა კი რუსეთ-უკრაინის ომში საქართველოს ჩათრევა სურთ.

აი, ნაწყვეტები რესპუბლიკური გაზეთებიდან, თუ როგორ ახასიათებენ ამ მიტინგებს და მომიტინგეებს: „პრიმიტიული“ ჯამბაზური სცენარი, ყალბი ფსევდოპატრიოტული ეგზალტაცია, უკიდეგანო რუსოფობია და საზოგადოებისათვის არაპატივსაცემი ავანტურისტი „ორატორები“, რომლებიც ყველას ყელში ამოუვიდა. (გაზ. „ასავალ-დასავალი“).

„ჰიტად ქცეული სლოგანი „შინ - ევროპისაკენ!“ - ძირშივე მცდარია თუნდაც იმიტომ, რომ ჩვენი საცხოვრისი წინაპართა სისხლით და ოფლითაა მოპოვებული და იგი ცენტრალური კავკასიაა. ჩვენი ქვეყნის ხსნა ჩვენს ხელთაა. საჭიროა შრომა და ჯაფა ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით“. (გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“).

ჩემი კოლეგა-ოპონენტი ფაქტიურად ცილს მწამებს, როცა წერს: **„ევროპული ღირებულება და კულტურა თქვენ გარყვნილება და მხოლოდ ლიბერალიზმი გგონიათ“. არ არის ასე, მაგრამ ბოლო 50 წლის განმავლობაში „კოლექტიური დასავლეთი“ რომ გადაგვარდა, ვფიქრობ, მას ბოლომდე ვერ გაუცნობიერებია. ისევ რესპუბლ;იკურ პრესას მოვიხმობ ჩემს მხარდასაჭერად: „ეს ის ამერიკა დ ევროპა არ არის, რაც თქვენ გახსოვთ და გინდათ, რომ იყოს! მოცარტის, ბეთჰოვენის, რენუარის, მიქელანჯელოს, ბალზაკის ევროპა აღარ არსებობს! (გაზ. „ასავალ-დასავალი“)**

დასავლეთმა უკვე ოფიციალურად დააყენა მსოფლიო საზოგადოება არჩევანის წინაშე: **ქრისტიანობა ან ლგბტ“! ევროსაბჭოს საპარლამენტო ანსამბლეამ 2021 წლის 25 დეკემბერს მიიღო დოკუმენტი „ევროპაში ლგბტ-სადმი სიძულვილთან ბრძოლის შესახებ“.** ეს არის გზა და კურსი სოდომის გამარჯვებისკენ.“... **ანსამბლეამ სახელმწიფოებს მოუწოდა, რომ ლგბტ პროპაგანდაზე, განსაკუთრებით ბავშვებს შორის, ყველა შეზღუდვა მოხსნან“. (გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“).**

„ჩვენი ქვეყნის ამრევების უკან დგას გლობალისტების ძალიან დიდი ძალა, **რომელთა მიზანიც მსოფლიოში ხალხის მილიარდამდე შემცირებაა. მათ ადამიანების დაზომბირების პროგრამა აქვთ ჩართული. ვირუსის გავრცელება, 5 G ანტენები და ომი უკრაინაში ამ გეგმის შემადგენელი ნაწილია...** გლობალისტებმა ევროპას სული გამოაცალეს. დღეს და ძმას ვეღარ ცნობს და შვილი-მშობლებს. **შვეიცარიაში უკვე ოჯახის წევრებს შორისაც არის დაშვებული სექსი. აი, სად არის და საით მიდის ევროპა! ასე, რომ ვიდრე რაღაცას ამოვიჩემებთ, ყველაფერი ჯერ კარგად უნდა გავიაზროთ! ამ უზნეობის გადმოტანა გვინდა საქართველოში? (გაზ. „ასავალ-დასავალი“).**

ამ კითხვას, რასაკვირველია, მეც ვუსვამ ჩემს კოლეგა ჟურნალისტს და პედაგოგს, **რომელსაც ამოუჩემებია „ქვეყნის ამრევების“ მიერ გამოგონილი უაზრო „შინ-ევროპისაკენ“,**

მე ვურჩევდი მას, თავის მოსწავლეებს „ბორჯომში“ გამოქვეყნებული მისი წერილი „შინ-ევროპისაკენ!“ კი არ გააცნოს, დუტუ მეგრელის ლექსი დაიზეპირებინოს ყველას, დიდს და პატარას:

**„მე პატარა ქართველი ვარ,**
**კავკასიის მთების შვილი;**
**და განცხრომით სხვაგან ყოფნას**
**მირჩევნია აქ სიკვდილი!“**

**და ამ სულისკვეთებით აღზარდოს ისინი!**

P.S. **აღარ ჩამოვთვლი მთელ რიგ ფაქტებს, რასაც უზნეო დასავლეთი აკეთებს. მარტო ეშმაკებისთვის ძეგლის დადგმა და ქრისტიანული ტაძრების ნგრევაც ყველაფერზე მიუთითებს. ამ „ცივილიზებულმა ევროპელებმა“ დაიწყეს პირველი და მეორე მსოფლიო ომი! აქ წარმოიშვა ფაშიზმი, რომელიც საფუძვლად დაედო ალენ დალესის „ბოროტების დოქტრინას“ და ლგბტ მოძრაობის მოძლიერებას. ევროპელი კათოლიკეები სამი საუკუნე აწამებდნენ ინკვიზიციით ადამიანებს და რომის პაპმა კანადაში ახლაც ბოდიში მოიხადა ბავშვების ჩახოცვისათვის. ასეთი რამ არც ერთ ქვეყანაში მართლმადიდებლებს არ გაუკეთებიათ.**

**ჩემი ოპონენტი თუ მოისურვებს, ჩემგან დასახელებული რესპუბლიკური გაზეთების ნომრებს, თარიღებს და გვერდებსაც მივუთითებ. მას, როგორც ჩანს, დაკვირვებით არ წაუკითხავს ჩემი პოლიტიკური წერილები, რომლებითაც 5 წლის წინ პოლემიკა გავმართე ერთ რუსეთის სიძულვილით დასნეულებულ მათემატიკის დოქტორთან. მაშინ ის ჩემი მოპაექრე „ბეჭებზე დავეცი“. ეს წერილები გაზეთ „ბორჯომში“, გაზ. „საქართველო და ,სპფლიოში“ და გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ სხვადასხვა ნომრებში გამოქვეყნდა. მაშინ იმ დოქტორმა მთელ რიგ კითხვებზე ვერ გამცა პასუხი. ამ გაზეთებს ვათხოვებ ჩემს ახლანდელ ოპონენტ - კოლეგას და იქნებ იმ კითხვებზე მან გამცეს პასუხი?**

**უჩა ჯანგირაშვილი**

# რავა ყველაფერი გიკვირთ?!

**ერთკაციან** 250 პარტიას პარტია რომ ჰქვია, გიკვირთ?!

**ნაციონალური** მოძრაობას რევანში რომ სწყურია და ხელისუფლების სათავეში დაბრუნება სურს და ამიტომაც „გულაობს“, გიკვირთ?!

**შალიკოს,** ბაქრაძეს, ბოკერიას, ვაშაძეს, მელიას, სააკაშვილს და სხვებსაც პრეზიდენტობა სერიოზულად რომ უნდათ, ესეც გიკვირთ?!

**ოპოზიციის** უმრავლესობას **„შინ ევროპაში“** რომ სურთ დაბრუნება, გიკვირთ, მერედა რას აკეთებენ ამ მიზნის მისაღწევად?!

**გამაგებინეთ,** გეოგრაფიულად სად მდებარეობს საქართველო, წინა აზიაში, კავკასიაში, თუ ევროპაში?!

**ქვეყანა** გაივსო ნარკოტიკებით და მისი მომხმარებლებით, მერედა, რას ფიქრობთ, ვის უტოვებთ სამშობლოს, ნარკოტიკებით გაბრუებული და გონდაკარგული ადამიანები შეძლებენ ქვეყნის ღირსეულად მართვას, ეს მაინც მითხარით?!

**ომბუდსმენი** რომ სქესის შეცვლის მომხრეა, გიკვირთ?!

**ჯარში** წასვლა და სამშობლოს დაცვა ახალგაზრდების უმრავლესობას რომ არ სურს, გიკვირთ?!

**ბორჯომში** რომ 50-ზე მეტი სამოქალაქო მღვდელი მამაო გვყავს, ესეც გიკვირთ?!

**ნატოს** „ღია“ კარში რომ ვერ შევდივართ, გიკვირთ?!

**ყველა,** ვინც საკუთარი მიწა-წყლიდან გამოიქცა და საქართველოს შეაფარა თავი და ჩვენი მიწა-წყალი თავისად რომ მიაჩნია, გიკვირთ?!

**ჩვენი** შვილები რომ თორმეტი წელი სკოლაში დადიან და თითქმის ყველა რეპეტიტორთან ემზადება და წერა-კითხვა მაინც უჭირთ, გიკვირთ?!

**ღმერთის** და ეკლესიის მაგინებლად ქრისტიანებს რომ გვეძახიან, ესეც გიკვირთ?!

**ყველაფრისგან** გაკვირვებულებს, ძალლადაც რომ არავინ გვაგდებს შინ თუ გარეთ, ესეც გიკვირთ?!

**რავა** ყველაფერი გიკვირთ! 30 წელიწადია აქციების მეტი არაფერი „შეგვიმატებია“ ქვეყნისთვის. პრეზიდენტებს თუ პარლამენტარებს 80-85 პროცენტით ვირჩევთ, ნდობას ვუცხადებთ და მერე თოფ-ზარბაზნებით გვსურს მათი ჩამოგდება, ესეც გიკვირთ?!

**ბედკრულ** ქვეყანაში ობიექტური, სამართლიანი არჩევანის თავიც რომ არ გვაქვს, გიკვირთ?!

**არცერთი** ხელისუფლება რომ არ მოგვწონს, გიკვირთ?!

**ჩვენს** „პოლიტიკოსებს“ სამშობლოს სიყვარულს, სკამის საყვარელი რომ ურჩევნიათ, გიკვირთ?!

**მრავალსაუკუნოვან**ი ისტორიის ქართველობას შური, მტრობა, ღვარძლი, სხვა ათასი ანომალიები რომ ახასიათებს და ვერაფრით ამოვფხვრით, გიკვირთ?!

**ვაჟა-ფშაველამ** კი მოგვიწოდა - ღმერთო **„ქართველს ქართველი შეაყვარე და ორივეს ერთად საქართველოო“,** მაგრამ ვცდილობთ კი ამ ბრძნული შეგონების შესრულებას?!

**კიდევ** ბევრი უბედურება გვჭირს და ამიტომაცაა, რომ ჩვენზე ჩამორჩენილ ქვეყნებს ეპატიჟებიან ევროკავშირში და ჩვენ კარები მოგვიხურეს, მერედა, ესეც გიკვირთ?!

ევროპელებმა მოგვიწოდეს დეპოლარიზაციისკენ, მაგრამ ერთი ნაბიჯი გადაიდგა ამ სულისშემძვრელი, უგვანო დაპირისპირების აღმოსაფხვრელად?! რადიკალური ოპოზიცია მაინც თავისთვის ზრუნავს იმ თორმეტპუნქტიანი დავალების შესრულებისათვის, ხელისუფლება ცალკე?!

**დღესაც** ძალაშია ტრადიციული **„უჩემოდ ვით იმღერთა“.** ხომ არ დაგავიწყდათ ამ გამოთქმამ რამდენჯერ დააზარალა საქართველო.

**ჩვენს** ეროვნულ გერბს გარკვევით აწერია მეტად შთამბეჭდავი სიტყვები **„ძალა ერთობაშიაო“,** მინდა ვკითხო ოპოზიცია-პოზიციას, რაში გამოიხატება ამ ფრთიანი დევიზის მნიშვნელობა, თუ ამ გადამწყვეტ ეტაპზე, როცა წყდება ევროკავშირში საქართველოს მიღების საკითხი, ყველაზე **„განათლებულ, სამშობლოზე მოფიქრალ პოლიტიკურ ელიტას“** რატომ უჭირს უკიდურესად დაძმიმებულ სიტუაციაში ყბადაღებული პოლარიზაციის დათმობა და ერთ მაგიდასთან თორმეტპუნქტიანი მოთხოვნისათვის საფუძვლიანი პასუხების გაცემა, ეს ხომ ჩვენი ბედკრული სამშობლოსთვის ყველაზე მომგებიანი ნაბიჯი იქნება გადადგმული ევროპული ოჯახის წევრად გახდომისათვის.

**და ბოლოს,** შეგახსენებთ სულმნათი ჭაბუა ამირეჯიბის სიტყვებს **„ჭკუით ქართველებო! ჩვენ ობოლი ერი ვართ“!** - ამ ჩვენს ბრძენკაცს მაინც დაუჯერეთ!

**ვალერიან ლომიძე**

### ციხისჯვრის სასწაულმოქმედი ტაძარი

# მამა გაბრიელის სარტყელი სასწაულებს ახდენს

**ტაძარი,** სადაც დედა ნატალია მოღვაწეობს, ღირსი მამა გაბრიელის სახელობის დედათა მონასტერია. ბევრმა „პრაიმტაიმის" სტატიით შეიტყო ციხისჯვრის ამ პატარა, მაგრამ სასწაულების მოვლინებელი ტაძრის შესახებ, სადაც მამა გაბრიელის ნაქონი სარტყელი ინახება და რწმენით სავსე გულით ნათხოვნ სურვილებს ასრულებს.

სახარებიდან ხომ გახსოვთ, წლობით ტანჯული, სისხლმდინარე ქალი რომ ამბობს, იესოს კალთასაც რომ შევეხო, განვიკურნებიო და განიკურნა. მას კი მაცხოვარმა უთხრა, შენმა რწმენამ განგკურნაო. ასეა. როგორი რწმენითაც მივეახლებით უფალს, თხოვნაც ისევე აგვიხდება.

რწმენაა, უხილავი ძაფებით, ერთი წლის მანძილზე რომ მესამედ მიმაბრუნა ამ პატარა ტაძარში, რომელსაც იმ დღესაც ფუტკრებივით ეხვია ბაკურიანიდან მისული ხალხი.

**– დედაო, დედაჩემი მოვიყვანე, შენი ლოცვით თვალებში ჩინი დაუბრუნდა**

- მესმის ფრაზა და ვფოკუსირდები ქალზე, რომელსაც მადლიერების ცრემლებით ავსებია ახელილი თვალები.

– ჩემი ლოცვით კი არა, მამა გაბრიელის სასწაულით, – უსწორებს დედა ნატალია და უხარია. გულწრფელი სიხარულით აგრძელებს ფუსფუსს.

– დედაო, შვილი არ მიჩნდება... რა არ ვცადე, – ახალგაზრდა ქალი იმედით შეჰყურებს ამ ტაძრივით პატარა და ძალზე საყვარელ მონაზონს.

დედაო ჩამოდგება და რჩევებს აძლევს, ტრადიციულად ეკითხება: ქმარი გაიკეთე? მოდი, შემოირტყი, ლოცვა წაიკითხე. მიჰყავს მამა გაბრიელის სიწმინდეებთან - მირონმდინარე ხატთან და სარტყელთან.

– დედა ნატალია, მოყვანილი მყავს, ბავშვი, ვერ მეტყველებს. დიდია უკვე, – მამა თვალს არ აშორებს მონაზვნის თვალებს და ნუგეშის მომცემი სიტყვების მოლოდინში პატარავდება...

თანაგრძნობით გაპოხილი, არ იცი, სად წახვიდე, როდესაც სასწაულისთვის მოსული ადამიანის მისიას უნებურად იგებ.

აქ მოსული ყველა ადამიანი, რწმენას მამა გაბრიელის სარტყელთან მიჰყავს. იმედი რწმენას ეჭიდება... და გული კოსმოსს წვდება...

შეხედავ და თითქოს ჩვეულებრივი ტყავის ქამარია, ჩვენი ბაბუები რომ ატარებდნენ, ისეთი. მაგრამ რომ წარმოიდგენ, მას მამა გაბრიელი ატარებდა, ლოცვის დროს მიწიდან აწეული, სალოსი, წინასწარმეტყველი და ჩვენი დროის წმინდანი, მაშინვე უკუაგდებ პირველ შთაბეჭდილებას და იწყებ მობილიზებას, რომ არ დაგავიწყდეს, რისი თხოვნა გინდოდა...

წელზე იკეთებ, კითხულობ იქვე დაწერილ ლოცვას, გულით თხოვ შეწევნას, შემდეგ იხსნი, იდებ ადგილებში, რაც გაწუხებს, ჯვარზე, რომელსაც ატარებ და უკან აბრუნებ,



ყუთში...

ყველაფერს მონასტრის ერთადერთი მონაზვნის, 75 წლის დედა ნატალიას მითითებით ასრულებ.

აქვს იუმორი, ზომიერი სიმკაცრე და საუბარში ყოვლად მოულოდნელად ინგლისურ სიტყვებს ურევს. ხუმრობს. ეს აღარ გიკვირს, როდესაც იგებ, რომ საერო ცხოვრებაში ინგლისურის ენის პედაგოგი იყო და „თიჩა მანანას" ეძახდნენ.

მონაზვნად ექვსი წლის წინ, ხარებას აღიკვეცა... დედა ნატალია „პრაიმტაიმის" მკითხველს თავის თავზე უყვება...

დედა ნატალია: ვიყავი ინგლისურის პედაგოგი. ღმერთის ყოველთვის მწამდა, ეკლესიური ვიყავი.

ჩვენთან ტაძარში დედა პარასკევა იყო ჩამოსული. მცხეთიდან წამოსვლის შემდეგ, ერთი პერიოდი ამ მონასტერში მოღვაწეობდა... მაშინ მე მონაზვნად აღკვეცილი არ ვიყავი. მცხეთის სამთავროს მონასტერში წამოდი სტუმრადო, შემომთავაზა.

ბორჯომ-ბაკურიანის ეპარქიის ყოფილმა მღვდელმთავარმა, მეუფე სერაფიმემ აიჩემა, მანანა დეიდა მცხეთაში უნდა წავიდეს და იქ ნახოს, როგორია მონაზვნური ცხოვრებაო...

სამი თვე და ათი დღე დავყავი მცხეთაში...

ეს ტაძარი კი მამათა მონასტერი იყო, მაგრამ როდესაც ანწყურის ღვთისმშობლის ხატი ამობრძანდა, დედათა მონასტრად გადაკეთდა. აქ იყო დედა პარასკევა სხვა დედებთან ერთად. მერე აქაური მონაზვნები სხვადასხვა ტაძრებში დაიქსაქსნენ, დედა პარასკევა კი ვარდგინეთის ივერიის ღვთისმშობლის სახელობის დედათა მონასტერშია.

ვუვლიდი ავადმყოფ დედას, შემდეგ ქმარს. ორივე რომ გარდაიცვალნენ, სადგერის დედათა მონასტერში მოხდა ჩემი მონაზვნად აღკვეცა.

ახალგაზრდებთან შედარებით, ხანდაზმულების აღკვეცა მალე ხდება. მორჩილი ვიყავი, სამონაზვნო ეტაპიც არ გამივლია. მეუფე სერაფიმემ თქვა, ეს იქნება მორჩილის პირდაპირ მონაზვნად აღკვეცის პირველი და უკანასკნელი შემთხვევა ჩემი მოღვაწეობისასო. ასეც იყო. ჩემი მონაზვნად აღკვეციდან რამდენიმე დღეში, მეუფე სერაფიმე ჯოჯუა ამ ეპარქიის მღვდელმთავარი აღარ იყო.

ხარება ძალიან მიყვარს და ამ დღეს მოხდა ჩემი აღკვეცა. ემოციური დღე იყო. დაბნეული ხარ ამ დროს. ხარ ჩუმად, არ იცი, რა თქვა.

თმაგაშლილი მხოლოდ გრძელი თეთრი პერანგით გამოდიხარ. გაწვენენ, ლოცვა იკითხება. სამჯერ გაწვდიან მაკრატელს და უკან უნდა გადაუგდო. თუ არ გადაუგდე, ესე იგი, არ გინდა მონაზვნობა.

მერე გიქირავს ჯვარი, მოდიან მონაზვნები და გთხოვენ დალოცვას. გლოცავთ ცოდვილი მონაზონი, დედა ნატალია-მეთქი, ვეუბნებოდი. აღკვეცის დღეს მონაზვნის დალოცვას დიდი ძალა ჰქონია...

ჩემ შვილს, მამა გაბრიელს გაუხარდა, რომ მეუფემ დედა ნატალია დამარქვა. დედაჩემს ერქვა და მორწმუნე ქალი იყო. ჩემ შვილს ძალიან უყვარდა ბებია და სადგერში რომ აღსაკვეცად მივდიოდით, მამაომ მითხრა, ნეტა, ნატალიას დაგარქმევდესო და ასეც მოხდა. სრულიად დამოუკიდებლად, მეუფე სერაფიმემ მონაზონ ნატალიად აღმკვეცა.

მას შემდეგ სულ ლოცვაში ვარ. მართალია, აქ ჩემი შვილია წინამძღვარი, მაგრამ ეს პრივილეგიას არ მანიჭებს. მონასტერში ცხოვრება ტიპიკონის წესების დაქვემდებარებას ითხოვს. აქაურ ცხოვრებას თავისი წესები აქვს და უნდა ასრულებდე.

აი, ასე, ტაძარში სანამ ნანატრ სიწმინდეს მიეახლებით, დედა ნატალიას იხილავთ. დგას და რწმენით მისულ გულებს ნუგეშის მომცემი სიტყვებით მასპინძლობს. ჰყვება სასწაულებზე, რომელსაც მამა გაბრიელის სარტყელი, მირონმდინარე ხატი და შესამოსელი ახდენს.

ციხისჯვრის (სოფელი ბორჯომის მუნიციპალიტეტში) წმინდა გაბრიელ აღმსარებელი სალოსის სახელობის ტაძარი 2012 წელს მიტროპოლიტ მეუფე სერაფიმეს ლოცვა-კურთხევით აიგო და ერთ წელიწადში იკურთხა.

დედა ნატალია მიყვება, რომ როდესაც მისმა შვილმა, არქიმანდრიტმა გაბრიელმა (ერისკაცობაში იოსებ ჯამბაზიშვილი) ტაძარი მამა გაბრიელის სახელზე ააშენა, მალევე გაიხსნა მამა გაბრიელის საფლავიც. ის უკვე წმინდანად იყო შერაცხული. ამდენად, ეს არის ამ წმინდანის სახელზე აგებული პირველი ტაძარი.

სარტყელს სასწაულები მოუხდენია. ტაძარშია ხის ჯვარი, რომელიც გააკეთა კაცმა, რომელსაც შვიდი წელი შვილი არ ჰყავდა. სარტყელის გაკეთების შემდეგ მიეცა შვილი, ჯვარი კი ტაძარს შემოსწირა.

არქიმანდრიტი გაბრიელ ჯამბაზიშვილი: - სიწმინდესთან შეხებით ადამიანი მადლს იღებს. და მეუფეს ლოცვა-კურთხევით, ეს ტრადიცია ჩვენთან გადმოვიტანე. აქამდე, საქართველოში, ასეთი ტრადიცია არ ყოფილა, რომ პირდაპირ ნივთებს მთხვეოდა ან გაეკეთებინა ისინი მრევლს.

ეს დეიდამ და დედა პარასკევამ მაჩუქეს მამა გაბრიელის სარტყელი და მას შემდეგ ის ჩვენს ტაძარშია.

ჩვენი ტაძარი უშვილოთა მფარველობით გამოირჩევა. სასწაულია ის, რომ მამა გაბრიელის სახელობის ტაძარში მოლოცვის შედეგად, უკვე ძალიან ბევრი ბავშვი დაიბადა. დაახლოებით 70-მდე ბავშვი.

ასე რომ, ახალციხის მხარეში (ბორჯომში, ბაკურიანში) ყოფნისას, აუცილებლად მოილოცეთ დიდი სასწაულის მომვლინებელი პატარა ტაძარი, სადაც ღვთისმსახური დედა-შვილი მამა გაბრიელის მიერ გაბედნიერებული ადამიანების სიხარულებით ხარობს.

**თამარ გონაძე**

„პრაიმტაიმი"

### პრობლემების კვალდაკვალ

# სანაპირო სანაგვედ გადააქციეს

**ორი კვირის** წინ ახალი უბნის დასახლებაში მოუწესრიგებელი საგზაო მოძრაობისა და ამჟამად იქ არ არსებული ზებრა გადასასვლელის შესახებ გიამბეთ. თუმცა, პრობლემები რომ არ ილევა, ამას ყოველდღიურად ვხედავთ ჩვენს ირგვლივ და დანაშაულის ტოლფასია ნამდვილად, როცა დაინახავ იმ ტერიტორიაზე დაყრილ უამრავ ნაგავს.



დავიწყებ იქიდან, რომ ალბათ ყველას კარგად გახსოვთ, ამა წლის გაზაფხულზე, ადიდებულმა მტკვარმა ახალი უბნისკენ მიმავალი გზის ნაწილი რომ მოწყვიტა და აღნიშნულ პრობლემაზე ადგილობრივმა მედია საშუალებებმა მრავალჯერ გავაშუქეთ კიდეც. თუმცა, აღნიშნული გზის რეაბილიტაცია ჩვენდა სამწუხაროდ, მომავალ წლამდე არ იგეგმება და ასეა მიტოვებული გზა შემოსაზღვრული ბეტონის დამცავი ნიშნულებიანი ღობეებით და მანქანები გზის დარჩენილ ნაწილზე მოძრაობენ. მტკვრისაგან დაზიანებული გზის ნაწილი კი იმდენად ცუდ მდგომარეობაშია, რომ თითქმის ორ მეტრამდე სიგრძის ღრმულია გაჩენილი. სანაპირო ზოლის გასწვრივ მდგარი ხეებიც მოთხრილჩატანილია და ასფალტის საფეხმავლო გზაც. ყოველდღიურად სწორედ ამ გზას გავდივარ ფეხით და 22 აგვისტოს სახლში მიმავალს არსებული ღრმული უზარმაზარი ნაგვის ფუთით, გაზიანი სასმელების მინისა და ალუმინის ქილებით, და ნაყინის შესაფუთი პაკეტებით დამხვდა სავსე. ვინც ეს ყველაფერი აქ დაყარა გზად დაახლოებით 4-5 ნაგვის ურნა ხომ გამოირა? რატომ უნდა მოგივიდეს საღად მოაზროვნე ადამიანს აზრად, რომ დაზიანებულ გზის ნაწილზე ამდენი ნაგავი ჩაყარო? ოჯახებში არ იზრდებით? საკუთარ სახლებს, საცხოვრისსაც ნუთუ ასე „უფრთხილდებით"? საერთოდ აღარ შეგრჩათ რაიმე ადამიანური? დარწმუნებული ვარ, ამის შემდეგ ამის გამკეთებლები „გამოხტებიან" და დასუფთავების სამსახურს გაამტყუნებენ, რომ ქუჩებს არ ასუფთავებენო.

აი, ზუსტად არსებულ ტერიტორიაზე საკუთარი თვალით ვნახე, რომ რამდენიმე დღის წინ დასუფთავების სამსახურის ბრიგადა მუშაობდა დილიდან და მთელი ტერიტორია და სანაპირო ზოლი დაასუფთავეს. შესაბამისი ყურადღება ექცევა სანიტარიულ წესრიგს, წლების წინანდელ სიტუაციას თუ გადავხედავთ, ამის დაუნახაობა არ შეიძლება. ჩვენდა სამწუხაროდ, ამ სიტუაციაში პრობლემა თქვენშია ადამიანებო, თუმცა ყველას როგორ უნდა უწოდო ადამიანი, უკვე ამის თქმისაც ეშინია ადამიანს. **მართლა ყველა კაცი ადამიანია? ან კაცია, ყველა ადამიანი?** რაღაც არა მგონია, როგორც თქვენ იქცევით და რასაც აჩვენებთ თქვენ შვილებს, ისინიც სწორედ ასე მოიქცევიან. უბრალოდ მე ერთი კითხვა მაწუხებს, წარმოვიდგინე, იმ დრომდე, სანამ გზას რეაბილიტაცია არ ჩაუტარდება, აქ რომ ყველამ ნაგავი დაყაროს, რამდენი დაგროვდება, რა მდგომარეობა იქნება ერთი წლის შემდეგ? თუმცა, ის ხომ უფრო ადვილია, რომ თქვენს უმსგავსობაზე სხვა დაადანაშაულოთ და სხვას შეაწმინდოთ ბინძური ხელები?

ცივილიზაცია რომ გინდათ და ამერიკას და ევროპას ედრებით, ცხვირწინ არსებულს არ უფრთხილდებით თქვე მამაცხონებულებო, გეგონება თქვენი დაყრილით და დაბინძურებული არ უნდა ისუნთქონ თქვენმა შვილებმა. აი, სწორედ ესაა შინაგანი კულტურა და არა ის, რომელიმე სახის ბრენდის სამოსის ჩაცმა. ისე ნუ იფიქრებთ, „ქვა აგორდეს და მე ამცდეს" ან „ლობეს ჩხირიო". მთავარია, მე მოვიშორო და სხვას ავნებს თუ ზიანს მოუტანს აწი რა ჩემი საქმეაო?

**P.S. იცოდეთ, რომ ვერანაირი კონტროლი და ჯარიმა ვერ გიშველით, თუკი შინაგანი მზაობა, კულტურა არ გექნებათ და მშობლიური ქალაქი საკუთარი სახლივით არ გეყვარებათ.**

**ნატო მელიქიძე**

### მოგზაურის შთაბეჭდილებები

# აღტაცება, სევდა, სინანული და იმედი

**წვიმამ** მალევე გადაიღო და ჩვენმა ექსკურსიამძღოლმა ნუგზარმა, ძველი ქართული კულტურულ-საგანმანათლებლო კერის - ოშკის ტაძრის გარე ფასადი და მის ჩრდილოეთით შემორჩენილი სემინარიის და სატრაპეზოს ნანგრევები დაგვათვალიერებინა. 1036 წელს, საუცხოო ფრესკებით მოხატული ტაძრის შიდა ინტერიერის დღემდე შემორჩენილი ხატწერაც კი ვერ მოვინახულეთ და ვერც გარე ფასადის მრავალრიცხოვანი ასომთავრული წარწერების მიახლოებით ვერ დავტკბით - ტაძარი შემოღობილი დაგვხვდა, თურქეთი ოშკის რესტავრაციას აწარმოებს, თუმცა პანდემიის გამო სამუშაოები შეჩერებულია...

ოშკის ხელნაწერებიდან, მხოლოდ ბიბლიაა შემორჩენილი, რომელიც დღემდე ათონის მთაზეა დავანებული...

ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში მუშაობის პერიოდში მქონდა ბედნიერება - 2009 წელს კულტურული მემკვიდრეობის მიერ გამოცემული და მუზეუმში გასაყიდად მოტანილი არაჩვეულებრივი წიგნი-ალბომი - „ოშკი" შემეძინა, სადაც მთლიანი ისტორია და დღეისათვის შემორჩენილი ხატწერაა თავისი გაშიფვრა-განმარტებებით...

აღტაცებით, თუ ბედნიერებით, სევდით, თუ უბედურებით აღვსილი ჩვენი მოგზაურობის მეორე დღეც მიილია, მოსაღამოვდა... ქართველთა სასტუმროში მიმავალნი, მამა არჩილმა ქალაქ იუსუფელში ერთი საათით შეგვაჩერა - თავისუფალი დრო მოგვცა... ზოგმა გავისეირნეთ, ზოგმა ჩვენთვის მოსაწონი, თუ საჭირო ნივთი და პროდუქტი შევიძინეთ და მამა არჩილისადმი კიდევ მეტი მადლიერებით აღვსილნი მოსასვენებლად გავეშურეთ...

მესამე დილა კი პარხალით დავიწყეთ - ლაზეთის ქედის, ანუ პონტოს მთების აღმოსავლეთ კალთის ძირში, მდინარე ჭოროხის მარცხენა შენაკადის - პარხლის წყლის ხეობაში, სოფელ პარხალში, იქ სადაც თამარ მეფის პერიოდში კლდეში ნაკვეთი წყალსადენი ყოფილა - X საუკუნის იოანე ნათლისმცემლის სახელობის პარხალის ტაძარია, რომელიც დღეს - 973 წელს გადაწერილი პარხალის სახარებითაცაა ცნობილი. პარხალის ტაძარი - სამნავიანი ბაზილიკა, ძველი ქართული კულტურულ-საგანმანათლებლო და ხუროთმოძღვრების უმნიშვნელოვანესი კერა, რომლის მსგავსი თავისი სიდიდით საქართველოს ტერიტორიაზე არსადაა შემორჩენილი.

ტაძარი მშვენივრადაა შემორჩენილი, რადგან მეჩეთადაა გადაკეთებული. მთავარ ნავში ლოცვისათვის აუცილებელი ფიანდაზი განფენილიყო, ხოლო ნავები თავისუფალი, ამიტომ ფეხჩაცმულნი შევედით და საკურთხევლის წინ ფოტოების გადაღებაც გავბედეთ, ტაძრის წინ კი საერთო - 60-კაციანი ფოტოც გადავიღეთ.

**პარხალიდან** იშხანს გავემგზავრეთ - გზა, რომელმაც წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა ჩემზედ და ალბათ სხვა დანარჩენებზედ, ცხოვრებაში არ დამავიწყდება... მისვლა ტაძარში და წამოსვლა ტაძრიდან სხვადასხვა გზით მოხდა და ორივე საოცარი სილამაზის, საოცარი საყურებელია...



IX საუკუნის პირველ ნახევარში, ძველი ტაძრის ნანგრევებზედ აშენებული, ცენტრალურ-გუმბათოვანი ტაძრისა და სამნავიანი ბაზილიკის გაერთიანების იშხნის ტაძარი, თურქთაგან რესტავრირებული ვიხილეთ, ამბობენ: **„სახელგანთქმულია სილამაზე ოშკისა, ადგილმდებარეობა ხახულისა და მოხატულობა იშხანისა"...** თუმც მოხატულობა ვერ ვნახეთ, რადგან ტაძარი დაკეტილი დაგვხვდა, გარე ფასადისა და ეზოს დათვალიერებამ კი ნამდვილად მოგვხიბლა, იმედია შემდგომში წასული მომლოცველები იშხანს - დღემდე შემორჩენილი მოხატულობით უცილობლად დაათვალიერებენ... იშხანი ყოველთვის საეპისკოპოსო იყო, საყურადღებოა ის, რომ იშხნის საეპისკოპოსო კათედრა, თურქთა მიერ სამცხე-საათაბაგოს დაპყრობის შემდეგაც, მოღვაწეობას განაგრძობდა და მხოლოდ XVII საუკუნეში გაუქმდა...

ტაო-კლარჯეთში მოგზაურობის დრო იწურება, დაგვრჩა გეგმით გათვალისწინებული ერთი ტაძარი სანახავი, რომელიც სხვათა მსგავსად საოცრებას წარმოადგენს - **ბანა** - „ფანასკერტის წყალზედ არს ბანა, აწ უწოდებენ ფანაქს, ეკლესია გუმბათიანი, დიდი, მშვენიერად ნაგები, მშვენიერ ადგილას" - წერდა ვახუშტი ბაგრატიონი - საქართველოს ერთ-ერთი უდიდესი და უდიადესი საეკლესიო და სახელმწიფოებრივი ცენტრი, ისტორიულ ტაოს ტერიტორიაზე, ჭოროხის ხეობაში, ოლთისის შენაკად მდინარე ბანას მარჯვენა ნაპირას...

**„ბანასნაირი ტაძარი მთელ აღმოსავლეთში არ მინახავს, აია-სოფიის შემდეგ აზიაში მსგავსი არაფერი შემხვედრიაო"** - უთქვამს XIX საუკუნის დასაწყისში გერმანელ ბოტანიკოსს **კარლ კოხს.**

მიუხედავად იმისა, რომ მამა არჩილს მისი მღვდლობის პირველი დღიდან ვიცნობ, როგორც კარგ ადამიანს - გულიანს, გულისხმიერს, სხვათა დამფასებელს და პატივისმცემელს, რაც ჩემს თავზე გამომიცდია და ბევრჯერ დავსწრებივარ მის მიერ ჩატარებულ ღვთისმსახურებას, მათ შორის სადღესასწაულო წირვას, ბევრჯერ დავუპატიჟივარ მის მიერ მოწყობილ ტრაპეზზე - თურმე მაინც არ ვიცნობდი...

იგი, უზომოდ დიდი პასუხისმგებლობის და ვალდებულების მქონე, უზომოდ მოამაგე და მზრუნველი მამა და პატრონი, უზომოდ ენერგიული, საუკეთესო მცოდნე იქაური ტაძრების, თბილი და მოსიყვარულე ადამიანების მიმართ და უპირველესი - ზომიერი იუმორით, ძალზედ კომუნიკაბელური, დიდი მოთმინებისა და ნებისყოფის პატრონია...

მადლობა მამაო ყველაფრისათვის, მადლობა სითბოსთვის და სიყვარულისთვის თითოეულის მიმართ გამოჩენილი მზრუნველობისთვის...

**ვიოლეტა ბალახაშვილი**

**დასასრული. დასაწყისი იხილეთ გაზეთი „ბორჯომი" №30-34, 2022 წელი**

## მკითხველი შენიშნავს

# გულგრილობა ხანძარს ვერ აქრობს!

**გული** მიკვდება ჩვენი ხეობის ტანაყრილ ნაძვნარსა და ფიჭვნარს ცეცხლი რომ ანადგურებს. ზოგიერთი ადგილის მიუვალობის გამო ვერ ხერხდება ხანძრის ჩაქრობა, ამიტომაც გაიწელა სტიქიასთან ბრძოლა. ამას ხელი შეუწყო რამდენიმეკვირიანმა გვალვამ და მტკვრის ხეობაში, მართალია სუსტმა, მაგრამ მუდმივად მქროლავმა ქარმა.

დიახ, ჩემთვის ერთი სიკვდილია ფისის შემცველი ადვილად აალებადი ნაძვნარ-ფიჭვნარის ცეცხლის ალში გახვევის ფაქტების ტელევიზიით ნახვა. ზოგჯერ ვფიქრობ, რომ ამ უბედურების აცილება ჩვენ შეგვეძლო. **ამ გაზაფხულზე პირადად მე ბორჯომის რაიონის საზოგადოებრივი აზრის დარბაზის გამგეობის სხდომაზე წარვადგინე დრონების გამოყენების გეგმა ხანძრების გაჩენის აღმოჩენის და მისი ლიკვიდაციის საქმეში.** მაშინ მე განვაცხადე, რომ ერთ დრონს შეუძლია დაზვეროს 30 კმ რადიუსის ტერიტორია. ბორჯომის რაიონის ტყეების სადარაჯოდ 2-3 დრონი საკმარისი იქნებოდა. გამგეობის წევრებმა ჩემი გეგმა მოიწონეს, მაგრამ ამასთანავე აღნიშნეს, რომ ეს ყველაფერი ძალიან ძვირი დაჯდებოდა. ეს აზრი რაიონის ხელმძღვანელების წინაშეც გავაჟღერეთ და მათაც იგივე გაგვიმეორეს. მაგრამ აბა, დავფიქრდეთ, რა ზიანიც ახლა ჩვენს ტყეებს მიადგა, იმასთან შედარებით ხომ არაფერი იქნებოდა დრონის შეძენაში დახარჯული თანხები? ნათქვამია, სიფრთხილეს თავი არ სტკივაო.

იმასაც ვხედავთ, როგორ თავდადებით ებრძვიან სტიქიას მეხანძრეები, მაგრამ, ზოგჯერ მეტი მოხერხებულობაა საჭირო. ხანძარი მთის ფერდობზე მაღლა მიიწევს, ისინი კი ქვევიდან მიყვებიან. საჭიროა თავიდან მოვლა, ხანძრის გავრცელების საწინააღმდეგო ტრანშეების გაყვანა და ვერტმფრენებით არა მხოლოდ ცეცხლწაკიდებულ ადგილებზე წყლის დასხმა, არამედ უფრო მაღლა მდგარი ხეების გაგრილებაც. ამით პირველ რიგში ტყის დაცვის მუშაკები უნდა დაინტერესდნენ, იქნებ მომავლისათვის მაინც შევიძინოთ დრონები, სტიქია თავიდან ავიცილოთ და გადავარჩინოთ ხანძრებისაგან ჩვენი ხეობის უმშვენიერესი ტყეები!

**თანგული ორთოიძე,**
**მხატვარი-დიზაინერი, ბორჯომის საპატიო მოქალაქე, ბორჯომის რაიონის საზოგადოებრივი აზრის დარბაზის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე.**

## როგორ მოვიქცეთ ბუნებაში?

# გაუფრთხილდით მწვანე სიმდიდრეს!

**გახსოვდეთ,** რომ განათლებულ, კულტურულ ადამიანად ითვლება ის, ვინც იცის და ვისაც უყვარს ბუნება.

**ბუნებაში** ყოფნისას ეცადეთ, ჩაატაროთ მარტივი დაკვირვებები. დააკვირდით რელიეფის ფორმებს, რომელი პერიოდისაა ისინი, როგორი გეოლოგიური ქანებითაა აგებული ტერიტორია, რომელი მცენარეული საფარი და როგორი ნიადაგია წარმოდგენილი.

**საინტერესოა,** ბუნებაზე ადამიანის ზეგავლენის შეფასება. ეცადეთ, გამოავლინოთ ის დადებითი ცვლილებები, რომლებიც გამოიწვია ადამიანის სამეურნეო ან სხვა ქმედებამ. გაარკვიეთ, რომელმა ფაქტორებმა გამოიწვია უარყოფითი მოვლენები.

**გაუფრთხილდი** და დაიცავი მცენარეული საფარი.

ტყე ჩვენი საუნჯეა, ტყის პირველი მტერი ცეცხლია. კოცონის დანთებისას მონახეთ ისეთი ადგილი, სადაც უკვე იყო დანთებული კოცონი, ან მოძებნე ისეთი ადგილი, რომელიც ხანძარს არ გამოიწვევს, განსაკუთრებით ფრთხილად იყავით წელიწადის მშრალ პერიოდში, ნუ დააგდებთ მიწაზე ანთებულ ასანთს. არ დატოვოთ ანთებული კოცონი.

**ბუნების** წიაღში ყოფნისას ეცადეთ არ დაამტვრიოთ ან არ მოჩეხოთ ახალგაზრდა ხემცენარეებიც, თავი შეიკავეთ ყვავილების უაზრო მოწყვეტისგან.

**ნუ დაიჭერ** გარეულ ცხოველებს ან ფრინველს. გახსოვდეთ, რომ საქართველოში არც თუ ისე დიდი რაოდენობის ნადირი დარჩა, ნუ ააწიოკებთ ჩიტის ბუდეებს, ნუ გამოთხრით ცხოველთა სოროებს.

**მკაცრად** დაიცავით ნადირობის და თევზაობის წესები.

**ნუ იხმაურებთ,** ხმაური აშინებთ ცხოველთა სამყაროს, არღვევს მათ სიმშვიდეს, რაც უფრო ჩუმად იქნებით, მით მეტად საინტერესო მოვლენას დაინახავთ და დააკვირდებით.

**ბუნების წიაღში** ყოფნისას თან იქონიეთ ფოტო და ვიდეოაპარატი, საწერ-კალამი, რათა დააფიქსიროთ საინტერესო მომენტები.

დაიმახსოვრეთ, დაუშვებელია ბუნებაში ყოფნისას მისი დაბინძურება კონსერვის ქილებით, ქაღალდის ნახევებით, პლასტმასის თუ შუშის ბოთლებით, ცელოფნის პარკებით, კვების პროდუქტების ნარჩენებით.

**ის ადგილი,** რომელიც დასვენების და დანაყრებისთვის იქნა გამოყენებული. იდეალურად უნდა დასუფთავდეს, გახსოვდეთ, თქვენს მიერ დატოვებულ ნარჩენებს თავადვე უნდა მიხედოთ, სხვებს აუგი არ უნდა ათქმევინოთ თქვენს უზნეო მოქმედებაზე.

**ბორჯომში** საკურორტო და ტურისტული სეზონია.



ახლა ბორჯომის ხეობაში უამრავი მოაგარაკე, დამსვენებელი და ტურისტია, რომლებიც ხშირად ბუნების წიაღში ერთობიან, ისვენებენ, პიკნიკებს აწყობენ. არცთუ იშვიათად დამსვენებლები და ტურისტები უდიერად იქცევიან ბუნებაში. ამტვრევენ ნორჩ ხეებს, უადგილო ადგილზე ანთებენ კოცონს. მწვადის შესაწვავად კოცონს ჩაუქრობელს ტოვებენ, რაც ხშირად ტყის ხანძრის მიზეზი ხდება.

**კიდევ ერთხელ შევახსენოთ მოქალაქეებს გაუფრთხილდნენ ბუნებას, იცოდნენ ბუნებაში ქცევის წესები და მტკიცედ იოხელმძღვანელონ მისი დაცვისათვის.**

## SOS

# ვანდალიზმი და ასეთი?!

**ბორჯომის** კომპოზიტორთა შემოქმედებითი სახლი მუსიკოსებს 2006 წელს ჩამოართვა სახელმწიფომ. მოქმედი დასასვენებელი სახლი და კოტეჯები თავისი ინფრასტრუქტურით, დარბაზით, ინსტრუმენტებით, სადაც საერთაშორისო ფესტივალები, სიმპოზიუმები, კონცერტები ტარდებოდა და ჩვენი საამაყო კომპოზიტორები მუსიკას წერდნენ.

ეს იყო ჩვენი შემოქმედებითი სახლი, სადაც მუდამ მუსიკა ჟღერდა, მუსიკოსების თავშეყრის ადგილი, ახალი მუსიკალური ნაწარმოებები იქმნებოდა. აქ აღიზარდა მუსიკოსთა არაერთი თაობა. . ..

მუსიკოსებს ეს სახლი ჩამოართვეს, ამ ტერიტორიაზე შესვლა ყველას აუკრძალეს, იქაურობა გაავერანეს, ვანდალურად გაძარცვეს და მავნებლურად ისეთ მდგომარეობაში ჩააგდეს, ნაომარსა და დაბომბილს ჰგავს. როგორი მოვლილი და ნაპატრონებია ამ კადრებიდანაც ჩანს. რა ჰქვია ასეთ ქმედებას, ვინმე ხომ არ ამიხსნის?!



**ასე გამოიყურება ფეხმოტეხილი როიალი.**
**საინტერესოა, რას იცავს დაცვის პოლიცია.**

ეს ფოტო კი ტარკოვსკის ფილმის „სარკის" კადრებს მაგონებს - სტალკერი ზონაში რომ ხვდება...

არაერთი წერილი დაიწერა და გასაჩივრებაც მოხდა, მაგრამ დღემდე სასიკეთოდ არაფერი შეცვლილა.

„ჩვენისთანა ბედნიერი, განა არის სადმე ერი?!"

**მარინა ქავთარაძე,**
**დამსვენებელი**

# კონცერტს სიხარული მოაქვს!



**შეუძლებელია** არ დაგმახსოვრებოდათ ღონისძიებებზე ბორჯომის სამუსიკო სკოლის მოსწავლე (პედ. ცირა პავლიაშვილი) - 13 წლის ვაჟკაცი, №6 საჯარო სკოლის VIII კლასელი, **ლევან ნოზაძის** ნამღერი ქართული სიმღერა. მსმენელი აღაფრთოვანა ამ ბოლოს, ბატონი ვალერიან ლომიძისადმი მიძღვნილ საიუბილეო საღამოზე. ხმა და დიდი შინაგანი მონდომება მოსჩქეფდა ამ პატარა ბიჭიდან. ასეთი საამაყო ახალგაზრდები ხომ ჩვენი გაზეთის ფურცლებზე უნდა მოხვდეს. ამბობენ, რომ გენეტიკურად დიდ ბაბუას - ავთანდილ ნოზაძეს ამსგავსებენ სიმღერის ნიჭით. უხარია კიდეც ასე რომაა - ასეთი სასიამოვნო ხმა მისგან მაქვსო - მეუბნება. 13 წლისამ უკვე ჩამოყალიბებულად იცის, რომ მომღერლობა დამატებით პროფესიად უნდა დაიტოვოს, ხოლო მის მთავარ საქმედ ექიმობა განუზრახავს. იტაცებს ცეკვაც, სწავლაც და ხატვაც. განსაკუთრებით კლასიკა მოწონს და უსმენს. ის ძალიან საინტერესოდ მიყვება მის პირველ შეხებლობას მუსიკასთან: თავიდან დავდიოდი და ვსწავლობდი ხალხურ სიმღერაზე, თუმცა მალევე მივხვდით, რომ საეტრადო სიმღერების მიმართულებით უნდა მეცადა ბედი. თითქოს ბებო გრძნობდა, რომ ასე უფრო წარმატებას მივაღწევდი. მართლაც, უსაზღვროდ კმაყოფილი ვარ ჩემი პედაგოგის **ცირა პავლიაშვილის**. ყოველი კონცერტი უკვე სიხარულის მომტანი ხდებოდა, წამახალისებელი იყო. 2021 წლის გაზაფხულზე მირჩიეს, რომ მონაწილეობა მიმეღო კონკურსში **„სხვა საქართველო სად არის"**. ამ კონკურსმა დიდი გამოცდილება მიმალებინა. გავხდი ლაურეატი. ამის შემდეგ მონაწილეობა მივიღე კონკურსში **„მომავლის ვარსკვლავები"**, სადაც ასევე ლაურეატის წოდება მომანიჭეს. ყველაზე დიდ წარმატებას კი მივაღწიე კონკურსში: **„იპოვე შენი ვარსკვლავი"**, სადაც გრანპრი მომანიჭეს. ბედნიერი ვიყავი, როცა კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზში გადმომცეს ეს ჯილდო. წელს მეორე საპრიზო ადგილი დავიმსახურე. მადლობა მინდა გადავუხადო ქალბატონ **ცირა პავლიაშვილს** და ქალბატონ მ**არინა ქიტიაშვილს** გაწეული შრომისათვის. მე ვხედავ როგორ აქტიურად გვიწყობს ხელს ახალგაზრდებს წარმატების მიღწევაში ჩვენი მუნიციპალიტეტი და მინდა მათ მადლობა გადავუხადო მუდმივი ყურადღებისთვის. მადლობას ვუხდი ჩემს ოჯახს ჩემი გვერდში დგომისთვის.

**მონიკა ჭანტურია**

# კულტურული ღონისძიებების სიახლე კურორტზე

**ბორჯომის** თოჯინების პროფესიული სახელმწიფო თეატრი 11 აგვისტოს ბაკურიანს ესტუმრა. კინოთეატრ „დიდველი"-ს დარბაზში გაიმართა სპექტაკლი „ნახერხის რაინდები". სპექტაკლის რეჟისორი გახლდათ **ელენე მაცხონაშვილი.**

- მადლობას ვუხდით მხარდაჭერისთვის სსიპ „ბაკურიანის განვითარების სააგენტო"-ს და მის თავმჯდომარეს ქალბატონ **ეკატერინე ორჯონიკიძეს** ბორჯომის თოჯინების პროფესიული სახელმწიფო თეატრის ტრანსპორტით უსასყიდლოდ უზრუნველყოფისათვის.

ასევე მადლობა კინოთეატრ „დიდველის" ხელმძღვანელობას დარბაზის უსასყიდლოდ დათმობისათვის. ეს ის ადამიანები და კომპანიები არიან, რომლებიც მუდმივად გვაძლიერებენ და მხარში გვიდგანან. კიდევ ერთხელ მადლობა მათ სიკეთისთვის". - ნათქვამია ბორჯომის თოჯინების თეატრის ოფიციალურ ფეისბუქ გვერდზე.



წლევანდელი ზაფხულის სეზონი შესაძლებლობისდაგვარად საკმაოდ საინტერესო და დატვირთული გახლდათ თეატრალური წარმოდგენებით, რამაც ძალიან გაახარა დამსვენებლები და განსაკუთრებით ადგილობრივი მოსახლეობა, რომლებიც ერთხმად აღნიშნავდნენ ასეთი ტიპის ღონისძიებების ხშირი ჩატარების აუცილებლობას ბაკურიანში. - კულტურული ცხოვრება გვჭირდება უფროს თაობას და განსაკუთრებით ჩვენს პატარებს, მომავალ თაობას. - ერთხმად აღნიშნავდა სპექტაკლების დამთავრების შემდეგ კურორტის მოსახლეობა.

# ნათელა ლაფაჩის მოსაგონარი



**რა ჩქარა გავიდა ორმოცი დღე. რა მოულოდნელად დაგვტოვე, მიუხედავად შენი ავადმყოფობისა, იმედი გვქონდა, რომ გამოკეთდებოდი.**

**კეთილო, თბილო, სტუმართმოყვარე ადამიანო, ოქროსხელება, ჩვენო ნათელა! უშენობა გაგვიჭირდება. რამდენი კარგი დღეები გვაქვს შენთან ერთად გატარებული, სამწუხაროდ, ეს ყველაფერი მოგონებად დარჩება.**

**ცათა სასუფეველი დაგიმკვიდროს უფალმა, მშვიდად განისვენე იმიერში ჩვენო კარგო ნათელა!**

შენი მეზობლები:

**ლია სტეფნაძე, მარგო ბაბიაშვილი, რობერტი ნადირაძე, ეთერი ხრიკაძე, გოგლა ხუციშვილი, რობერტი პეტროსიანი, ციცო ხუციშვილი, მაყვალა სანდაძე, დოდო მიქაბერიძე.**

# გიწვევთ სასწავლებლად!

**ბორჯომის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო სკოლა აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 2022-23 სასწავლო წლისთვის - საფორტეპიანო, სიმებიან (ვიოლინო), ვოკალურ და ხალხური სიმღერის განყოფილებებზე.**

საბუთების მიღება დაიწყება 1 სექტემბრიდან 15 სექტემბრის ჩათვლით 11-დან 16 საათამდე.

**მსურველებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:**

1. **განცხადება დირექტორის სახელზე (ივსება ადგილზე);**
2. **მშობლის პირადობის მოწმობის ქსეროასლი;**
3. **მოსწავლის დაბადების მოწმობის ქსეროასლი;**
4. **არასრულწლოვანის რეგისტრაციის ბარათი (იუსტიციის სახლიდან).**



გაზეთი რეგისტრირებულია ბორჯომის სასამართლოს მიერ 1997 წელს, რეგისტრაციის №24.04.59

გაზეთის დამფუძნებელია რედაქციის კოლექტივი.

რედაქციამ შეიძლება გამოაქვეყნოს ისეთი წერილები, რომელთა ავტორების თვალსაზრისს თვითონ არ იზიარებდეს.

მისამართი: ბორჯომი, ფალიაშვილის ქ. №2. ტელ: 22-29-65. იბეჭდება შპს გამომცემლობა „საარში". ქ. თბილისი, თევდორე მღვდლის ქ. №57.

borjomi@inbox.ru

რედაქტორი: ვალერიან ლომიძე